18 აგვისტო
ავიაციის დღეა

დიდება და სახელი საბჭოთა ამაყ შევარდნებს! დიდება და სახელი ჩვენს სამშობლოს, რომელსაც ესოდენ მამაცი შვილები ჰყავს! დიდება და სახელი ამხანაგ სტალინს, საბჭოთა დევგმირი მფრინავების აღმზრდელს, მამასა და მეგობარს!

18 აგვისტო
ავიაციის დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

18 აგვისტო, 1937 წ. № 38 (378) ფასი 10 კაპ.

სამშობლოს საამაყო შვილები

სოციალიზმით აყვავებული ჩვენი ქვეყანა ადამიანის წინაშე შლის წინსვლის, ზრდის, მეცნიერების მწვერვალების დაუფლების, ბუნების ძალთა დაძლევის უნახავ შესაძლებლობებს.

სოციალიზმის ქვეყანამ შექმნა ყველა პირობა ადამიანის ნიჭისა და ენერგიის სრული გაფურჩქვნისათვის.

სოციალიზმის ქვეყანამ აღზარდა ათი ათასობით გმირები და გმირი ქალები ჩვენი მრავალფეროვანი და სასიხარულო ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში.

სოციალიზმის ქვეყანა ყოველდღიურად ზრდის ბოლშევიკ-გმირებს, რომელთა სიმამაცე ანცვიფრებს მთელ მსოფლიოს.

გმირობა ჩვენს ქვეყანაში მასობრივი მოვლენა გახდა.

რატომ? რა არის გმირობა?

გმირობა, გვასწავლის ამხანაგი **სტალინი**, არის გამბედაობა დამყარებული ცოდნაზე. გამბედაობა და ცოდნა—აი, ჩვენი გმირის ორი განუყრელი თვისება. გამბედავი და მცოდნე ადამიანები კი ჩვენში ახლა მილიონობითაა.

რა იძლევა გამბედაობას?

გამბედაობის წყარო, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ ადამიანი ჩვენში გახდა თავისი თავის ბატონპატრონი.

გამბედაობის წყარო ისაა, რომ ადამიანმა ჩვენში იცის ვისთვის ან რისთვის აკეთებს საქმეს.

გამბედაობის წყარო ისაა, რომ ადამიანი ჩვენში მუშაობს თავისი თავისთვის, თავისი სამშობლოსათვის, თავისი პარტიისათვის.

რა იძლევა ცოდნას?

ცოდნის წყარო განათლების სისტემის, სამეცნიერო მუშაობის ისეთი გაშლაა ჩვენში როგორიც არ იცის, როგორიც არ შეიძლება იცოდეს არც ერთმა სხვა ქვეყანამ.

ცოდნის წყარო საბჭოთა სკოლებია, ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებებია, რომლებითაც მოფენილია სოციალიზმის ქვეყნის ყოველი კუთხე.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს გამბედაობისა და ცოდნის დაუშრეტელი წყაროები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გმირობა ჩვენში გახდა მასობრივი მოვლენა. გასაკვირი არაა, რომ ყოველ დღეს მოაქვს ჩვენი ქვეყნის მამაც შვილთა ახალ-ახალი დიდი სასახელო საქმეების სასიხარულო ამბები.

განსაკუთრებით ანცვიფრებს მთელ მსოფლიოს საბჭოთა ავიაცია, საბჭოთა მფრინავები.

ბოლშევიკებმა სულ მცირე ხნის განმავლობაში შექმნეს თავისი ხარისხითა და სიმძლავრით მსოფლიოში პირველი საავიაციო მრეწველობა.

ბოლშევიკებმა გამოზარდეს მსოფლიოში პირველხარისხოვანი საავიაციო კადრები.

ბოლშევიკებმა განახორციელეს მთელ მსოფლიოს მოაზროვნეთა მრავალი თაობის ოცნება ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის შესახებ.

ბოლშევიკებმა პირველად დაუკავშირეს ერთიმეორეს ორი დიდი მატერიკი უმოკლესი საჰაერო გზით.

ბოლშევიკებმა გადაშალეს ბუნების დამორჩილების, მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენების უდიდესი პერსპექტივები.

ბოლშევიკებმა აჩვენეს მსოფლიოს რას უნდა ემსახურებოდეს ავიაცია.

მთელი მსოფლიო იცნობს ახლა ჩვენი სამშობლოს საამაყო შევარდნებს: ჩკალოვს, ბაიდუკოვს, ბელიაკოვს, გრომოვს, იუმაშევს, დანილინს, შმიდტს, ვოდოპიანოვს და სხვ. და სხვ. მათ ღირსეულად დაიმსახურეს მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის სიმპათია. ისინი, სტალინის გამოზრდილი, ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილები არიან.

სამშობლოსათვის, რომელსაც ჰყავს ათიათასობით ასეთი გმირები, არაფერია საშიში. გმირებისათვის, რომლებსაც აქვთ ასეთი სამშობლო, შეუძლებელი არაფერია.

სალამი საბჭოთა ქვეყნის საამაყო შევარდნებს — სახელოვან მფრინავებს!

სალამი მას, ვისი მეთაურობითაც ჩვენს ქვეყანაში პირველხარისხოვანი საავიაციო მრეწველობა შეიქმნა, ვისი მეთაურობითაც გამოზრდილია ავიაციის შესანიშნავი კადრები — სალამი დიდ **სტალინს**!

მოსკოვ-ჩრდილო ამერიკის მარშრუტით გადაფრენათა მომწყობ მთავრობის კომისიისაგან

მოსკოვი, 16 აგვისტო (საქტესი). 16 აგვისტოს განმავლობაში ყველა პოლარულ რადიოსადგურს და სხვა მრავალრიცხოვან სადგურებს კვლავ განუწყვეტლივ ესმოდათ მუშაობა ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის ტალღებზე.

არც ამ დღეს არაფერი უტყუარი ცნობა არ არის მიღებული, მაგრამ იყო რამდენიმე ახალი შემთხვევა, როდესაც გაურკვევლად ისმოდა სადგურის მუშაობა ამ ტალღებზე. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თვითმფრინავის რაცია მუშაობს, მაგრამ დაზიანებულია და ამიტომ ცუდად ისმის.

დაკვირვება გრძელდება.

ყინულმჭრელმა „კრასინმა" შმიდტის კონცხთან დატვირთა საწვავი მასალა და ტვირთავს სამ ერთმოტორიან მსუბუქ თვითმფრინავს. 17 აგვისტოს დილისათვის დატვირთვა მთავრდება. „კრასინი" მიდის ალიასკის ნაპირისაკენ, იქიდან კი ჩრდილოეთისაკენ.

პოლარული მფრინავი ზადკოვი ორმოტორიანი ჰიდროთვითმფრინავით „ნ-2" 16 აგვისტოს მოფრინდა ოხოტსკიდან პენჟინის გზით მარკოვოში მდინარე ანადირზე. საიდანაც 17 აგვისტოს გაფრინდება უელენში.

„ანტ-6"-ის სამ თვითმფრინავზე მოსკოვში იდგმება დამატებითი ბაკები საწვავი მასალისათვის, რომლებიც 3.500 კილომეტრამდე ადიდებენ გაფრენის სიშორეს.

სურათზე: ამხანაგი **სტალინი**, ამხ. ვოროშილოვი და საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ამხ. ბაიდუკოვი და ბელიაკოვი შჩელკოვის აეროდრომზე თვითმფრინავ „ანტ—25"-ის დაბრუნებისას არქტიკული გადაფრენიდან მოსკოვი — კუნძული ჩკალოვი (1936 წ.)

18 აგვისტო—ავიაციის დღესასწაული

18 აგვისტო საბჭოთა ავიაციის დღეა. ამ დღეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა საზეიმო პარადზე გამოაფენს სახელოვან საბჭოთა ავიაციის უდიდეს მიღწევებს. თბილისი განსაკუთრებით ემზადება ამ ზეიმისათვის. სამოქალაქო ავიაციის აეროდრომზე შესდგება გრანდიოზული საჰაერო პარადი და უმაღლეს პილოტაჟის დემონსტრაცია.

დილის 11 საათზე პარადი გაიხსნება პარაშუტისტ **ბაქრაძის** გადმოხტომით თვითმფრინავიდან „უ-2". გადმოხტომისას პარაშუტისტი დაუკრავს ფანფარზე.

11 საათისათვის აეროდრომზე ორ წყებათ იქნება ჩამწკრივებული თვითმფრინავები და პლანერები. პარადის მიღების შემდეგ გაიმართება მიტინგი.

12 საათზე აეროდრომიდან აფრინდება 13 თვითმფრინავი. 400 მეტრის სიმაღლეზე ფრენის შემდეგ ამხ. **გოგოშიძის** რგოლის თვითმფრინავები ავლენ 600 მეტრის სიმაღლეზე და იქიდან გადმოუშვებენ პარაშუტისტებს მიმიწების სიზუსტის სადემონსტრაციოდ.

12 ს. და 20 წუთზე დაიწყება მფრინავ მოდელების გაფრენის დემონსტრაცია ამხ. **ფხაკაძის** ხელმძღვანელობით.

12 ს. 40 წ. თვითმფრინავი „უ-2" (მფრინავი **ლუდუშაური**) ბუქსირით აიყვანს ჰაერში პლანერს „გნ-7", რომელსაც მართავს ცნობილი პლანერისტი **ცაგარელი**. 1.000 მეტრის სიმაღლეზე პლანერი მოეხსნება თვითმფრინავს და გვიჩვენებს უმაღლესი პილოტაჟის ტექნიკას.

13 ს. და 20 წუთზე მფრინავი **ჟორდანია** აიყვანს ჰაერში ძაღლსა და გოჭს, რომელსაც ამხ. **გოგოშიძე** 300 მეტრის სიმაღლიდან გადმოახტუნებს პარაშუტით.

13 ს. 35 წუთზე „უ-2" თვითმფრინავთა რგოლი, რომელიც აფრინდება 800 მეტრის სიმაღლეზე, გვიჩვენებს უმაღლესი პილოტაჟის ტექნიკას. იფრენენ ამხ. **გოგრიჭიანი, ალახანია და ჩინჩალაძე.**

14 საათზე აეროდრომიდან გაფრინდება საჰაერო მატარებელი. თვითმფრინავი „პ-5" (მფრინავი **ეპიშევი**) ბუქსირით აიყვანს სამ პლანერს და 1200 მეტრის სიმაღლეზე საჰაერო მატარებელი გვიჩვენებს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს. პლანერებს მართავენ ამხ. **პინაევი, ქათამაძე** და **ცაგარელი**.

14 ს. 35 წ. დაიწყება პარაშუტისტთა ჯგუფური გადმოხტომა თვითმფრინავიდან „ანტ-9". მფრინავი **ქუჩეროვი** (სამოქალაქო ავიაცია) 800 მეტრის სიმაღლიდან გადმოუშვებს შემდეგ 14 პარაშუტისტს: **გოკიელს, გელაშვილს, ნედაშვევსკის, ბოიკოს, ბახუტაშვილს, აფრიკიანს, პუშჩინას, ფაბენკოს, დუბინსკაიას, მირზოევს, ტრეგუბოვს, კოკიაშვილს, ეირამჯიანს და ვარდანაშვილს.**

15-16 საათებში მოეწყობა სტუმრების თვითმფრინავებით სეირნობა.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. ტელ. სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

არავაკის სექტორში მეამბოხეთა ზურგიდან ისმოდა ინტენსიური სროლა მდინარე ტახოს სამხრეთით მდებარე სექტორში, 15 აგვისტოს რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა მრავალი თავდასხმა.

14 აგვისტოს დილით რესპუბლიკელთა პოზიციებზე ისმოდა ტყვიამფრქვევის ხანგრძლივი სროლა მეამბოხეთა შორის ტოლედოში. არსებული ცნობებით 80 მაროკოელისაგან შემდგარი რაზმი რეპრესიებს ატარებს იქ.

სამხრეთის ფრონტი

14 და 15 აგვისტოს რესპუბლიკელთა პოზიციებზე მეამბოხეთა ტერიტორიიდან — გრენადაში, აგრეთვე მოტრილის რაიონიდან ისმოდა გაძლიერებული სროლა და ხელით სასროლი ყუმბარების ხმა.

პოსობლანკოს სექტორში 15 აგვისტოს 10 ჯარისკაცი გადავიდა რესპუბლიკელთა მხარეზე.

ჩრდილოეთის ფრონტი

მეამბოხეებმა მნიშვნელოვანი დამხმარე ძალების მიღების შემდეგ 14 აგვისტოს გაშალეს შეტევა ჩრდილოეთის ფრონტის სხვადასხვა უბანზე. შეტევა სწარმოებს ავიაციისა და ტანკების დახმარებით.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ბესასის სექტორში, ტერუელის მახლობლად, რესპუბლიკელებმა რაიონში დაიკავეს მაღლობები 1435, 1576 და 1339.

ესპანეთის რესპუბლიკური არმიის ერთ-ერთი, პოპულარული სარდალი დივიზიის მეთაური ენრიკო ლისტერი.
„სოიუზფოტო"

ავიაციის მოქმედება

15 აგვისტოს მთავრობის ესკადრილიები ყუმბარებს უშენდნენ მეამბოხეთა დაჯგუფებულ ჯარებს ხადრაკის დასავლეთით.

ჩრდილოეთის ფრონტზე რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მეამბოხეთა ერთი თვითმფრინავი.

მენორკის კუნძულზე რესპუბლიკელებმა 14 აგვისტოს ჩამოაგდეს მეამბოხეთა თვითმფრინავი. კომანდის 6 კაციდან გადარჩა ორი, რომლებიც ტყვედ წაიყვანეს რესპუბლიკელებმა. ეკიპაჟის ყველა წევრი იტალიური ეროვნებისაა.

* * *

15 აგვისტოს მთავრობის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მეამბოხეთა კრეისერ „კანარიასზე", რომელიც ალიკანტეს რაიონში აღმოაჩინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მეამბოხეთა კრეისერი გაიქცა.

15 აგვისტოს ღამით მეამბოხეთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ვალენსიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩა 12 დღე

სკოლა უპატრონოდ დარჩა

სოფელ ოქტომბრის (ზუგდიდის რ.) არასრული საშუალო სკოლა სასწავლო წლისათვის არ ემზადება. სკოლის შეკეთება - კეთილმოწყობაზე ჯერ არავის უზრუნვია. სკოლა მასწავლებელთა კადრებითაც არაა უზრუნველყოფილი. სკოლის დირექტორი შამუგია ზაფხულის განმავლობაში პიონერთა ბანაკის ხელმძღვანელად გაიგზავნა და სკოლა უპატრონოდ დარჩა.

რამდენიმე დღე და სწავლა დაიწყება, მაგრამ ხსენებული სკოლა ნორმალურ მეცადინეობას ვერ შეუდგება.

საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქ. ფარდოსანიძე

უდარდელი დირექტორი

[illegible] (გორის რ.) არასრულ საშუალო სკოლაში სასწავლო წელი 10 ივნისს დამთავრდა. მაგრამ VII კლასის მოსწავლეებმა ჯერაც არ იციან წარმატების ნიშნები — არც ერთმა მათგანმა არ იცის დაამთავრა თუ არა კურსი ან რა საგანში აქვს საშემოდგომო გამოცდა.

სკოლის დირექტორ ჩხაკვაძეს ჯერ არც ერთ მოწაფეზე არ გაუცია დამთავრების მოწმობა. „მოწმობების უქონლობის გამო, განცხადებები არ შეგვიტანია საშუალო სასწავლებელში, სკოლის გარეთ ვრჩებით“—ჩივიან მოსწავლეები. სკოლა უპატრონოდ არის დარჩენილი, დირექტორი ჩხიკვაძე თბილისში დასეირნობს. ახალ სასწავლო წლისათვის სკოლის მომზადებაზე კი არავინ ფიქრობს.

საკლასო ოთახები შეუკეთებელია; აკლიათ მაგიდები და პარტები; არ არის ბინა ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის, რის გამოც ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოების ნაწილი განიავდა — დაიკარგა მიკროსკოპი და სხვ. ხელსაწყოები. ეს იმიტომ, რომ ფიზიკის მასწავლებელი დ. ყულუმბეგაშვილი ხელსაწყოებს თავის სახლში ინახავდა, მაგრამ მათ წესიერ შენახვაზე კი არ ზრუნავდა. სკოლა არც შეშითაა მომარაგებული.

სასოფლო საბჭო და გან. განყოფილება ჯეელა ამას გულხელდაკრეფილი შესცქერიან, ალბათ, ეზარებათ უდარდელობის განწყობილებიდან გამოიყვანონ სკოლის „გულშემატკივარი“ დირექტორი.

დ. ურჯუმელაშვილი.

როგორ ვხვდებით სასწავლო წელს

ბუკისციხის (ჩოხატაურის რ.) არასრულ საშუალო სკოლამ სასწავლო წლის მოსამზადებლად შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

შეღებილია სასკოლო შენობის სახურავი, შეკეთებულია 30 ცალი პარტა, ჩასმულია ფანჯრებში მინები, გაშპალიერებულია სამი საკლასო ოთახი, შეძენილია სამი მაგიდა და სამი ახალი პარტა, შემოღობილია სკოლის ეზო, შეკეთებულია აივნის იატაკი, შეძენილია ფრენბურთის ბადე, ბურთი, პატეფონის ფირფიტები, ცარცი, მელანი, რუკები და სხვ. სკოლას მომარაგებული აქვს შეშა.

ქ. შარაშიძე

მზადება დამთავრდა

დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რ.) ოქტომბრის სახელობის ა.-ს. საშუალო სკოლამ 1937-38 სასწავლო წლისათვის მზადება უკვე დაამთავრა. სკოლის სასწავლო ნაკვეთზე დარგულია 250 ძირი მანდარინი, გაკეთდა 20 ცალი ახალი პარტა, გაშპალიერებულია საკლასო ოთახები, შეკეთდა სასკოლო ინვენტარი შეძენილია კედლის საათი, გეოგრაფიული რუკები, შევსებულია სკოლის ბიბლიოთეკა 700 მან. მხატვრული ლიტერატურით, გაკეთდა ახალი საპირფარეშო, შეძენილია 12 ცალი ვენური სკამი, მოზიდულია 20 კუბ. მეტრი შეშა და სხვ. სამზადისზე დაიხარჯა 8.600 მან.

სკოლამ ვადამდე სანიმუშოდ დაამთავრა ახალი სასწ. წლისათვის მზადება.

გ. ხარაბაძე

მოუმზადებელი ხვდებიან სასწავლო წელს

ცხაკაიას რაიონის გან. განყოფილება უდარდელობას იჩენს სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. განყოფილების გამგე ვ. განგაია დამშვიდებით ზის თავის კაბინეტში და თვითდინებით ფიქრობს გავიდეს ფონს. მისი მიბაძვით ზოგიერთი სკოლის დირექტორ — გამგეს „ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია“. განყოფილების ხელმძღვანელობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ამ საკითხზე ივნისში მოიწვიეს დირექტორ-გამგეების თათბირი. როგორ ემზადებიან სინამდვილეში სკოლები—ეს ნაკლებად აინტერესებს გან. განყოფილებას, რის შედეგად ზოგ სკოლაში არაფერი გაკეთებულა, მაგ., ახალი სოფლის, გეჯეთის, ზემო-ჩხეფის სკოლებში.

ახალი სკოლების მშენებლობა წლობით ჭიანურდება. მე-3 ნოსირის დაწყებითი სკოლის მშენებლობა ორი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო მაგრამ ჯერაც არ დამთავრებულა. რვა წელიწადია, რაც 1-ლი ნოსირის დაწყებითი სკოლა დაქირავებულ შენობაშია ქირას მშობლები იხდიან, გან. განყოფილებას არც კი გახსენებია, რომ სკოლას შენობა ესაჭიროება. ამ სკოლისათვის მიმდინარე წელს რაიონს გადმოერიცხა 24.000 მანეთი, რაც განყ-ამ მე-3 ნოსირის დაწყებით სკოლას მიახმარა.

სწავლის დაწყება მოახლოვებულია. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავის დროზე შევუდგეთ ნორმალურ მეცადინეობას.

ტ. ალდავიანი.

სუსტად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის

სოხუმი, 14 აგვისტო (საქდესი). საზაფხულო არდადეგები მიწურულშია, მალე დაიწყება სასწავლო წელი. აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატი და განათლების რაიონული განყოფილებანი იჩენენ უზრუნველობას სასწავლო წლისათვის სასკოლო შენობათა მომზადებაში. გუდაუთის, გაგრის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებში არ დამთავრებულა ათობით სკოლების რემონტი. ფანჯრებს შუშა არა აქვს, არ მოეპოვებათ ინვენტარი, არა აქვთ შეშა კლასების გასათბობად. ამაში ცოტა დანაშაული როდი მიუძღვით რაიონულ ორგანიზაციებს — რაიაღმასკომებს, კომკავშირის რაიკომებს, რომლებიც სასწავლო წლისათვის მზადებას ხელმძღვანელობენ ქაღალდზე, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ცირკულარებით.

ინტრიგებს ბოლო უნდა მოეღოს

სტალინირის ებრაელთა საშუალო სკოლა მზადაა სასწავლო წლისათვის. დამთავრებულია სკოლის კაპიტალური რემონტი: გამოცვლილია შეკეთებულია კარ-ფანჯრები, იატაკი, ჭერი და სახურავი; შეღებილია კედლები და ყველა პარტა; გალამაზებულია სკოლის ეზო. მთელი სკოლა ახალსავით გამოიყურება.

ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა სიცოცხლით, ხალისითა და ენერგიით შეუდგება სწავლას. მასწავლებლები სრული მონდომებით გააჩაღებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლიდან.

უწინ ამ სკოლას განაგებდა ჯინჯიხაშვილი, რომელმაც სახელი გაითქვა ქუჩაში ქალების ცემა-ტყეპით. ანტიმორალური ყოფაქცევისათვის ის გაათავისუფლეს დირექტორის მოვალეობისაგან, მაგრამ აქავე დასტოვეს მასწავლებლად. მის მაგიერ დირექტორად დაინიშნა ა/წ. მარტიდან ამხ. რ. ჟელეზნიაკი, რომელმაც სულ მოკლე ხანში დაამტკიცა საქმის სიყვარული. მაგრამ უკმაყოფილო ჯინჯიხაშვილი არ ისვენებს: ჰქმნის დაჯგუფებას და ცდილობს სახელი გაუტეხოს ახალ ხელმძღვანელობას. ამას ბოლო უნდა მოუღოს განათლების ორგანოებმა.

ამხ. ჟელეზნიაკს, როგორც სკოლის მუშაკს ესაჭიროება დახმარება და ხელის შეწყობა. ინსტრუქტორი ბინიაშვილი კი ჯინჯიხაშვილს ესარჩლება.

სკოლამ დიდი მუშაობა უნდა გაწიოს მშობელთა შორის. სტალინირის ებრაელთა უბანში 15 ხახამი „მოღვაწეობს“. მათი ზეგავლენით ზოგიერთ მშობელს ბავშვები თორაშიც დაჰყავს. ამ სამარცხვინო მოვლენას დაუცხრომელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ სკოლამ და კომკავშირმა.

ყოფილი მოწაფე

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ლევანევსკი ემშვიდობება ამხ. ო. ალკსნისს გაფრენის წინ.
„სოიუზფოტო“

მშენებლობა ყურადღების გარეშე

სასწავლო წელი კარზეა მომდგარი. შუამთის (ვანის რ.) საშუალო სკოლის სამი ოთახი კი ჯერ კიდევ უიატაკოდ, უჭეროდ და უფანჯროდაა. 1 სექტემბრისათვის 4 ოთახი უნდა გაკეთებულიყო, ამათში მხოლოდ ერთი დაიწყეს. მაგრამ ამასაც ჭერი არა აქვს. გადმორიცხული 60 ათასი მანეთიდან 35 ათასი მან. მხოლოდ შენობის კედლების შელესვას დაახარჯეს. მშენებლობა ივნისში დაიწყეს, მაგრამ ამჟამად შეჩერებულია უფულობის გამო. სასკოლო ინვენტარზე ჯერ არც უფიქრიათ.

განათლების განყოფილება ასეთ „წვრილმანებზე“ ჯერ თავს არ იწუხებს და არც სკოლის სხვა უდარდელ მშენებლებს აწუხებს.

მასწავლებელი

უმსგავსოებანი ჰონორარის გაცემის საქმეში

მეტად უწესრიგოდ აწარმოებდნენ ჰონორარის გაცემას განათლების სახ. კომისარიატის სამმართველოები. დღემდე არ არსებობს ჰონორარის გასაცემად მტკიცე დებულება, რომელიც უნდა საზღვრავდეს საჰონორარო წესით წარმოებულ ყველა სახის სამუშაოს ღირებულებას და მისი გაცემის სისტემას. არ არის აღრიცხული საჰონორარო წესით შესრულებული სამუშაოები. არ ინახება შესრულებული სამუშაოების დედნები, არც ასლები: საჰონორარო წესით შესრულებულ სამუშაოთა გაცემა ხდება მხოლოდ მოლაპარაკების საფუძველზე და არ ფორმდება სათანადო ხელშეკრულებები. ზოგს წინასწარ, სამუშაოს შესრულებამდე ეძლევა ჰონორარი, ჰონორარის გაცემის განკარგულებას იძლევა ყველა სამმართველოს რიგითი თანამშრომლებიც კი.

ჰონორარის გაცემის საქმეში ამ უმსგავსოებათა აღსაკვეთად გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა დაამუშაოს საჰონორარო წესით წარმოებულ სამუშაოთა ანაზღაურების სისტემა და ნორმები.

მავნებელმა რემონტის ფული მიითვისა

სასწავლო წელი მოახლოვდა.

უკვე მზად უნდა იყოს საკლასო ოთახები პარტებით და სხვ. ინვენტარით. მაგრამ რას ვხედავთ არაშენდის (გურჯაანის რ.) საშუალო სკოლაში?

აქ რემონტის საქმეს „ხელმძღვანელობდა“ სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამჟამად ნიღაბჩამოხდილი ხალხის მტერი ბულდან ხარაზიშვილი. ამ არამზადის მავნებლობის შედეგად რემონტი ჯერაც არ დაწყებულა. რემონტისათვის ამ გარეწარის მიერ რაიფინგანიდან მიღებული 8.000 მანეთის ბედი დღემდე გამოურკვეველია. უფრო აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ სკოლის ოთახებში დღემდე ცხოვრობენ თვით ამ მავნებლის ცოლ-შვილი, ექიმი შალიკო გოგორიშვილი და ფარმაცევტი.

ხარაზიშვილმა თავისი მავნებლური ხელი ჩაურია არაშენდის საბავშვო სახლის მშენებლობასაც, რის გამო დღემდე მშენებლობის გეგმა შესრულებულია 10 პროცენტით.

გურჯაანის განათლების განყოფილებამ და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა მოახდინონ ხარაზიშვილის მავნებლობის ლიკვიდაცია და სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველჰყონ ხსენებულ მშენებლობათა დამთავრება.

ფილ. გვაძაბია

მზად არიან

ჯულელის რკინისგზის საშუალო სკოლა მზადაა სასწავლო წლისათვის. შერჩეულია მასწავლებელთა კადრი, მოსწავლეებით დაკომპლექტებულია პირველი, მეხუთე და მერვე კლასები. დამთავრდა სკოლის რემონტი. შეკეთებულია მთელი სასკოლო ინვენტარი, მოეწყო სამხედრო კაბინეტი, აფთიაქი, მოდელისტთა ოთახი; ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტებისათვის შეძენილია 2000 მანეთის ხელსაწყოები.

სკოლა და მისი ეზო მთლიანად დასუფთავებულია.

ა. მერკვილაძე

სასწავლო წლისათვის მზადება გეგეჭკორის რაიონში

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას გეგეჭკორის რაიონის გან. განყოფილება დროულად შეუდგა.

აღრიცხული იქნა ცალკეული სკოლების მიხედვით გასაკეთებელი ობიექტები და ამის საფუძველზე შედგა რაიონული გეგმა.

ა/წ. 10 აგვისტოსათვის გეგეჭკორის რაიონის სკოლებში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

დამთავრებულია ლეცისხვაიეს, ნაჩილაჩაოს, ქვედა-ნაგვაზაოს არასრულ საშ. სკოლებისა და ლეკვანტალიეს, ლემიქავეს და ლეცაკვეს დაწყებითი სკოლის შენობები. მიშენებულია სკოლებზე დამატებით 28 საკლასო ოთახი. დამზადებულია 350 ცალი ერისმანის სისტემისა და 58 უბრალო პარტა, 46 ცალი დაფა, 25 ცალი მაგიდა, 38 ცალი სკამი. გაკეთებულია 15 ბუხარი, 13 წყლის ბაკი, 12 საპირფარეშო, 15 ცალი შკაფი. ამოთხრილია სკოლებისათვის 5 ჭა.

შეკეთებულია 365 ცალი პარტა, 29 საკლასო ოთახი (შელესვა, იატაკის შეკეთება), 48 ცალი მაგიდა, 58 ცალი სკამი, 52 ცალი დაფა, 32 საპირფარეშო, 28 ბუხარი, 5 ცალი შკაფი. დამზადებულია 35 კუბ. საქ. შეშა.

ბიბლიოთეკებისა და კაბინეტების მოსაწყობად სახელგამს გადაერიცხა 56 ათასი მანეთი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადაა 22 დაწყებითი, 18 არასრული და 3 საშუალო სკოლა.

სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მოწინავე სკოლებია: ლეცისხვაიეს, ქვედა-ნაგვაზაოს, ნამკოლაოს, ჭყონის, ბანძის, ლეკვანტალიეს, ოჩეს, ნოჯიხევის.

მოწინავეების გვერდით არის ჩამორჩენილი სკოლები, რომლებმაც მიუხედავად სახსრების გამონახვისა, ვერ უზრუნველყვეს, უდარდელი მუშაობის შედეგად, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. ასეთებია: დოშაყის არასრული საშ. სკოლა (დირექტორი ხარბედია), პატარა ინჩხურის დაწყ. სკოლა (გამგე ვეგიძე), დღვანის დაწყ. სკოლა (გამგე ბერულავა).

მიღებულია გადამჭრელი ზომები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოების დასამთავრებლად 20 აგვისტოსათვის.

ვ. ჯანჯღავა

გეგეჭკორის რაიონის გან. განყოფილების ინსტრუქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება საბავშვო ბაღებს

ჩვენში სკოლამდე აღზრდის დაწესებულებები ჩამოყალიბდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. სწრაფად გაიზარდა ამ დაწესებულებათა ქსელი.

1921-22 წელს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებში ირიცხებოდა 1888 ბავშვი. 1936 წელს კი 680 საბავშო ბაღში ითვლებოდა 42.350 ბავშვი. სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის ასეთი ზრდა შედეგია პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებისა ბავშვთა კომუნისტური აღზრდისადმი.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად გასული წლიდან საბავშო ბაღები გადაეცა სამეურნეო ორგანიზაციებს.

სამეურნეო ორგანიზაციები მომზადებულად შეხვდნენ ამ საქმეს და სათანადო გაფორმების შემდეგ მიიღეს საბავშო ბაღები (მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი, ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატები, სარეწაო კოოპერაცია, საქ. ჩაი, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები).

აბაშის რაიონში დღეს 15 კოლმეურნეობასთან არსებობს საბავშო ბაღი (იყო 12); ხშირად იმართება მასწავლებელთა თათბირები, ეძლევათ ინსტრუქცია, ადგილებზე ხდება საბავშო ბაღების მუშაობის შემოწმება.

ონის რაიონში ოთხ კოლმეურნეობასთან მოეწყო საბავშო ბაღი (სორის, ღვარეშის, ხიდეშის, უწერის).

აღნიშნული საბავშო ბაღების მატერიალური პირობები კარგია, მასწავლებლებიც კმაყოფილი არიან პირობებით, განსაკუთრებით კარგ პირობებში იმყოფება სორის საბავშო ბაღი, რომელიც უზრუნველყოფილია კარგი კვებით. 1937 წლისათვის გათვალისწინებულია ამ ბაღისათვის ახალი ბინის აგება.

სკოლამდე აღზრდის საქმეში ზოგან დანაშაულებრივ მოქმედებას აქვს ადგილი. გაშლის ნაცვლად საბავშო ბაღების ქსელს ამცირებენ, მაგ., აღბულაღის, თიანეთის, ხობის და ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონებში.

ამბროლაურის რაიონში დახურვის კარზეა მისული 16 საბავშო ბაღი. აქ რაიმიწგანისა და განათლების განყოფილებები სკოლამდე აღზრდის დაწესებულებებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, სკოლამდელთა პედაგოგების მუშაობა არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, მუშაობის ხანგრძლივობა განისაზღვრება დღიურად 2-3 საათით, მასწავლებლებს 5-6 თვის ხელფასი არ აქვთ მიღებული.

ზოგ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ მოეპოვებათ საბავშო მოედნების მუშაობის გეგმა (ზუგდიდი, ცხაკაია, ამბროლაური, ლუქსემბურგი, დუშეთი და სხვ.).

ჯერ კიდევ საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით განათლების სახალხო კომისარიატმა ჩაატარა კოლმეურნეობებთან არსებული საბავშო ბაღების მასწავლებელთა კურსკონფერენციები: ზუგდიდის, ცხაკაიას, ლუქსემბურგის, ონის, ამბროლაურის და სხვ. რაიონებში. კონფერენციებზე დასახულ იქნა ღონისძიებანი მუშაობის გაჯანსაღებისათვის. რაიმიწგანებმა კოლმეურნეობებში საფუძვლიანად უნდა განიხილონ 1936 წლის 27 ივნისის დადგენილება საბავშო ბაღებისა და მოედნების ქსელის გაშლისა და შენახვის შესახებ. ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ როგორც სტაციონალურ, ისე სეზონურ საბავშო მოედნების გახსნას.

განსახკომის სკოლამდე აღზრდის განყოფილებამ მიწსახკომის კადრების სამმართველოსთან ერთად უნდა გააძლიეროს ოპერატიული ხელმძღვანელობა ადგილებზე.

სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობა საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას.

ს. სილაგაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გაზეთ „კომუნისტური განათლების“ № 73-ში ჩემ შესახებ მოთავსებული შენიშვნის — ჩემი რედაქციით ფაშისტ ავტორის წიგნის სახელმძღვანელოს სახით თარგმნის შესახებ — გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი განმარტება:

გეოგრაფიას უმაღლეს სასწავლებლებში საპატიო ადგილი აქვს მიკუთვნებული. მისი რაციონალურად დაყენებისთვის საჭიროა მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველყოფა სათანადო სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით.

მიუხედავად იმისა, რომ მე და გეოგრაფიის კათედრის სხვა თანამშრომლებმა შევადგინეთ მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა, გეოგრაფიის დარგის მრავალი დისციპლინა ჯერ მაინც არ არის უზრუნველჰყოფილი საჭირო ლიტერატურით. ამიტომ ვთარგმნეთ რამდენიმე წიგნი უცხო ენებიდან.

ჰეტნერის კლიმატოლოგიის თარგმანის რედაქციის დროს მე ვერ გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე, დავუშვი შეცთომა — არ დავახასიათე ავტორი, როგორც ფაშისტი, მაგრამ ჩემს ლექციებში ყოველთვის ვაკრიტიკებდი მის მსოფლმხედველობას.

ჩემ მიერ დაშვებულ შეცთომაზე მითითების შემდეგ, კიდევ უფრო ფართოდ გავაცანი სტუდენტობას ჰეტნერის ფაშისტური ფიზიონომია. მეტიც — ამაზე დავწერე ორი წერილი უნივერსიტეტის შრომებში მოსათავსებლად, მაგრამ აწ უკვე ნიღაბახდილმა ხალხის მტერმა უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა კ. ორაგველიძემ არ აღირსა ჩემ წერილებს გამოქვეყნება.

პროფ. ალ. ჯავახიშვილი

გავაჯანსაღოთ სამკითხველოების მუშაობა

შორაპნის სას. საბჭოსთან (ჯუღელის რ.) არსებული ქოხსამკითხველო ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. სამკითხველოში არ მოიპოვება ისეთი ლიტერატურა, რომელიც დააკმაყოფილებს მკითხველთა ინტერესს. სამკითხველო არ ატარებს მასობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას მახლობელ კოლმეურნეობებში.

ასევე სუსტად მუშაობს კლდეეთის სას. საბჭოსთან არსებული ქოხსამკითხველო. აქაც ნაკლებადაა ლიტერატურა, ხოლო რაც არის, ისიც დაფლეთილია თაგვების მიერ.

ხსენებულმა საბჭოებმა გადაუდებლად უნდა გაატარონ შესაფერი ღონისძიებები ამ სამკითხველოთა მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ქ. ვ.

მასობრივი მუშაობა პიონერთა შორის ზაფხულის პერიოდში

ამჟამად მრავალ ადგილას ისვენებენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები და იკრებენ ენერგიას ახალი სასწავლო წლისათვის. მხიარული გართობა და სიცილი აცოცხლებს პიონერთა ბანაკებსა და გამაჯანსაღებელ მოედნებს. დასვენებასთან ერთად აქ წარმოებს მასობრივ-კულტურული მუშაობა, რაც ხელს უწყობს მოზარდთა გონებრივ განვითარებას.

ბანაკებსა და მოედნებში ფართოდ გაშალეს მუშაობა წელს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო სალიტერატურო სექციამ და საბავშვო ჟურნალების რედაქციებმა.

პიონერთა მოედნებსა და ბანაკებში აგვისტოში ჩატარდა რამდენიმე ლიტერატურული საღამო. ორი ასეთი საღამო მოეწყო ამხ. ლ. ბერიას სახელობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში და საბავშვო ბაღში. ერთი — კოჯორის პიონერა ბანაკში. მოეწყო აგრეთვე მწერალთა შეხვედრები თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა კლუბში, ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის პიონერთა მოედანში, ვოროშილოვის კლუბთან არსებულ პიონერთა მოედანში, სტალინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში, ფიზკულტურის მოედანში და სხვ.

საღამოებზე და შეხვედრებზე გამოსულ მწერლებს ბავშვები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან. ისინი მოითხოვენ, რომ ასეთ საღამოებსა და შეხვედრებზე ხშირად გამოდიოდნენ მათი საყვარელი მწერლები: გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, გ. კაჭახიძე, ი. მოსაშვილი და სხვ. ამ საღამო-შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ნ. ნაკაშიძემ, გ. ქუჩიშვილმა, გ. კაჭახიძემ, ალ. მაშაშვილმა, კ. კალაძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ლ. მეტრეველმა, კ. ბობოხიძემ, ირ. აბაშიძემ, ალ. გომიაშვილმა, ლ. ჭიჭინაძემ, ვ. ჟურულმა, ი. ლისაშვილმა, ს. წვერავამ, დ. ბენაშვილმა, მ. გარიყულმა, დარბინიანმა, კრეიტანმა, ვ. გაბესკირიამ, მ. პატარიძემ, ცქვიტამ და სხვ.

ჟურნალ „პიონერისა“ და „ოქტომბრელის“ რედაქციებმა მთელ რიგ სკოლებსა და მოედნებში მოაწყვეს ჟურნალების განხილვა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჟურნალ „პიონერისა“ და „ოქტომბრელის“ რედაქციების მასობრივი მუშაობის გაცხოველება ბავშვებთან მრავალ ადგილას (მახარაძის პიონერთა ბანაკი შემოქმედში, აცანის პიონერა მოედანი, ქუთაისის პიონერთა ბანაკი ქობულეთში და სხვ.).

საუკეთესოდ მუშაობენ მთელი რიგი პიონერთა ბანაკები და მოედნები: კოჯორის, ქვიშხეთის, ქობულეთის. სანიმუშოდ არის აღმზრდელობითი კულტურულ-მასობრივი მუშაობა დაყენებული თბილისის ზოგიერთ პიონერთა მოედანზე და საბავშვო სანატორიუმში: მაგ., ფიზკულტურის პარკში მოწყობილ პიონერთა ბანაკში (გამგე ალ. ფარულავა), მე-18 სკოლაში მოწყობილ ბავშვთა სანატორიუმში (გამგე ექიმი პირაქკოვი), ვოროშილოვის კლუბთან მოწყობილ პიონერთა მოედანში (გამგე კირაკოვი), ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში მოწყობილ პიონერთა მოედანში, 26 კომ. რაიონში ამხ. ლ. ბერიას სახ. პიონერთა მოედანში (გამგე ჩოფიკიანი), მე-36 სკოლასთან მოწყობილ პიონერთა მოედანში.

ბ. მანთიძე
მ. გიგაური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ამხ. თარაშვილი და ინსტრუქტორი ამხ. გაბრიჩიძე თვითმფრინავში.

ლენინის რაიონის მასწავლებელთა ექსკურსია მოსკოვ-ლენინგრადში

ა-წ 6 ივლისს გავემგზავრეთ მოსკოვისაკენ. ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. ილ. ურუშაძე, 10 ივლისს ჩავედით მოსკოვში. დავისვენეთ და გავწიეთ მეტროს სადგურისაკენ. შიგ მეტროში საუცხოო სინათლე და სუფთა ჰაერია. მარმარილოს ბრწყინავ კედლებს შუა ბაქანი ხალხით გაიჭედა. მოგრიალდა მიწისქვეშა მატარებელი და გაგვაქროლა... მრავალი სადგური გავიარეთ... სადგურები სულ სხვადასხვა ფერის მარმარილოთი და ორიგინალური სტილითაა აშენებული. მეტრო სტალინური ეპოქის კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების გამარჯვების ძეგლია. ის სოციალიზმის ქვეყნის სიამაყეა, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მთელ ქვეყანაზე.

ვნახეთ ზოოპარკი. ის იმდენად დიდია, რომ მის უბრალო დათვალიერებას ნახევარი დღეზე მეტი მოვუნდით. პარკი მეტად მდიდარია ცხოველებით, ფრინველებით და ქვეწარმავლებით. აქ დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სახ. მეურნ. განვითარებისათვის.

გორკის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი მდიდარია მრავალ-სახოვანი კულტურული გასართობებითა და სათამაშოებით. აქ ნამდვილად ისვენებენ მშრომელთა ათეულ ათასეულები.

დავათვალიერეთ ტრეტიაკოვსკის გალერეა. ზომიერად შენობაში თავმოყრილია რუსეთის უდიდეს მხატვართა შემოქმედების შესანიშნავი ნამუშევრები. განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება მიიქცია შუხმანის (წითელი არმიის გმირული ბრძოლის შესახებ), ბროდსკის (ლენინი სმოლნიში), გრეკოვის (ბუდიონის ცხენოსანთა არმია თეთრების წინააღმდეგ), ლიიცკის, შიშკინის სურათებმა.

25 კილომეტრი გავიარეთ ავტობუსით. მივედით მოსკოვ-ვოლგის არხის ნაპირას — ნავსადგურ-ხიმკში. აქ დგანან დიდი და პატარა გემები, კატერები, ნავები და ჰიდროპლანები.. უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე სტალინური ეპოქის ამ გრანდიოზულ ნაგებობათა დათვალიერებამ.

რევოლუციის მუზეუმში ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანა სურათმა „სტალინის ბავშობა“. ვნახეთ აგრეთვე სკამი, რომელზედაც ჯდებოდა და მუშაობდა დიდი ბელადის მამა ბესარიონ ჯუღაშვილი. მეტად საინტერესოა ესპანეთის ახლანდელი ცხოვრების მასალები. აქ წარმოდგენილია ცოცხალი ფაქტები იმისა, თუ რა მხეცობას სჩადიან მშვიდობიან მოსახლეობის მიმართ ესპანეთის ფაშისტები და გერმანელ-იტალიელი ინტერვენტები.

დედამიწის, მზის, ვარსკვლავებისა და საერთოდ პლანეტების მოძრაობა, ზღვები, ტბები, ოკეანეები — აი, რა ვნახეთ ცოცხლად პლანეტარიაში.

ყველას ცხოვლად გვაინტერესებდა დიდი ბელადის სახის დანახვა და გავსწიეთ ლენინის მავზოლეისკენ. მავზოლეის წინ მოედანი ზღვა ხალხის რიგებით იყო გაჭედილი. კრემლის საათის ზარმა 7-ის შესრულება გვამცნო. ჩვეულებრივ მავზოლეიში შესვლა ამ დროს თავდება. ყველას გული უტოკავდა არ შეგვიშვებენო. მაგრამ ხალხის მხურვალე სურვილს ანგარიში გაუწიეს... ვნახეთ უდიდესი გენიოსის მებრძოლი სახე, რომლის ცქერისთვის არ გვინდოდა მოგვეშორებინა ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები. 15 ივლისს, დილით ჩვენ უკვე ლენინგრადში ვიყავით. მოგვათავსეს იუსუპოვის ყოფილ სასახლეში. აქ მოჰკლეს რასპუტინი.

ვნახეთ პეტრე-პავლეს ციხე, რომლის ერთი მხარე მდ. ნევაშია შეჭრილი. ეს რევოლუციონერების საშინელი საპყრობილე წარსულში უამრავ კამერისაგან შედგება. კამერები მეტად ბნელი, ყრუ, ცივი და ნესტიანია. ეზოში უზარმაზარი ეკლესიაა, სადაც დასაფლავებულია რუსეთის მეფეები.

ვიყავით პეტერგოფში. აქ მე-18 საუკ. დასაწყისში პეტრე I-ლმა ააგო კრონშტანდტის სიმაგრე და უცხოეთის სპეციალისტებს ვერსალის სასახლის სტილით მოაწყობინა თავისი სასახლე-ქალაქი. სასახლის ირგვლივ გაშენებულია ბაღი მშვენიერი შადრევანებით.

პეტერგოფის ნავთსადგურიდან გემით გავემგზავრეთ ლენინგრადისაკენ. მდინარე ნევათი შევედით ქალაქის ნავთსადგურში.

შემდეგ დღეებში დავათვალიერეთ დეტსკოე სელო, ერმიტაჟი, რევოლუციის მუზეუმი, „ამერიკული მთები“ და სხვ. 19 ივლისს მეტად ნასიამოვნები და მხიარული პედაგოგები გამოვედით ლენინგრადიდან და 25 ივლისს ჩამოვედით თბილისში.

ექსკურსიით მეტად კმაყოფილი პედაგოგები დიდ მადლობას ვუცხადებთ იმ ორგანიზაციებს და ამხანაგებს, რომლებიც დაგვეხმარნენ ექსკურსიის მოწყობაში, განსაკუთრებით მადლობას ვუცხადებთ ლენრაიონის დაწყ. და საშ. სკოლის მუშაკთა კავშირის თავ-რე ამხ. თ. კვალიაშვილს, რომლის ინიციატივით მოეწყო ეს ექსკურსია.

ტ. სარიშვილი.

გამოსახულებანი რადიოთი

უახლოეს დღეებში დაიწყება ბილდაპარატის კომერციული ექსპლოატაცია

თბილისში ჯერ კიდევ ა.-წ. აპრილში დასდგეს ცენტრალურ ტელეგრაფში ბილდაპარატი თბილის-მოსკოვს შუა ფოტოსატელეგრაფო კავშირისათვის.

22 ივლისიდან დაიწყო ბილდაპარატის უკანასკნელი გამოცდა, რომელსაც აწარმოებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია. ყოველდღე გადასცემენ და იღებენ 15-დან 20-დე ბლანკს (დეპეშებს, გამოსახულებებს, ფოტოდოკუმენტებს და სხვ.) თბილისში მიღებული ბლანკები განირჩევა სისუფთავით, იძლევა მოსკოვიდან გადმოცემული მასალის ზუსტ ასლს და ადვილი წასაკითხავია.

აპარატის გამოცდა უახლოეს დღეებში დამთავრდება, რის შემდეგ დაიწყება მისი კომერციული ექსპლოატაცია.

თბილისის ტელეგრაფში დადგმული ბილდაპარატი მუშაობს რადიოთი. დღეში მას შეუძლია გადასცეს და მიიღოს 150-დე ბლანკი ზომით 21×29 სანტ.

წელსვე განზრახულია დაიდგას მეორე ბილდაპარატი, რომელიც იმუშავებს ტელეგრაფით. ბილდაპარატის მოსამსახურე პერსონალმა — ორმა ტექნიკოსმა და ორმა ფოტო-ლაბორანტმა სავსებით აითვისა ფოტოცნობების მიღებისა და გადაცემის ტექნიკა.

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთის სარდლობის სასწრაფო ცნობა

შანხაი, 15 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაოს“ საგანგებო გამოცემაში გუშინ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა, რომელიც გამოშვებულია 14 აგვისტოს შუადღისას ჩინეთის სარდლობის წარმომადგენლის მიერ:

1) მტრის ხაზები შანხაის უნივერსიტეტის მახლობლად, ჩუნკონ — როდის ქუჩაზე და ცი-ძის უნივერსიტეტის მახლობლად სუიტიან — როდზე, დღეს დილის 5 საათზე გაანადგურეს ჩვენმა ჯარებმა. იაპონელთა რაზმი ციძის უნივერსიტეტში 300 კაცის რაოდენობით განადგურებულია.

2) ლიუხეს სექტორში, სადაც ჩვენი დაცვითი ხაზები მიუვალია, ბრძოლები არ ყოფილა. ლიკვიდირებული იქნება მტრის ყოველგვარი ცდა მოახდინოს გადმოსხმა ამ სექტორში.

3) ჩვენი ჯარების მორალური მდგომარეობა ფრიად მაღალია, ჯარებმა გადასწყვიტეს ბოლომდე განავითარონ დღევანდელი გამარჯვება.

4) ჩვენი საჰაერო ძალების მობილიზაციამ ფრიად ხელსაყრელი ეფექტი მოგვცა. დილის 10 საათზე 6 ჩვენი ყუმბარმტყორცნი გამოჩნდა მდინარე ვანპუზე და ჩამოაგდო სამი ყუმბარა მტრის მე-3 ფლოტილიის საფლაგმანო გემ „იძუმოზე“. ჩანკინ-შანხაის რკინიგზის ადმინისტრაციის შენობა დღეს დილით 8 საათსა და 45 წუთსა და 10 საათსა და 20 წუთს შუა დაზიანებულია მტრის ოთხი ყუმბარით, რომლებიც შენობას მოხვდა.

განცდილი მარცხის შემდეგ მტერი ამჟამად ამცირებს თავის ხაზებს თავს უყრის რა მათ ნავმისადგომზე და მდინარე ვანპუს ნაპირებზე, იანძეპუ—როდის ქუჩის ბოლოში. იაპონიის დესანტის მთავარი ბინა ძანვან-როდზე ევაკუირებულია, იაპონელთა კანტორები და ყაზარმები მთავარი ბინის მახლობლად ვანკუ-როდზე დანგრეულია ჩვენი ყუმბარებით. იაპონელებმა ფართო სამხედრო მოქმედების მომენტიდან დიდი ზარალი ნახეს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

იაპონია აშკარად გადადის ჩინეთთან ომის მდგომარეობაში

ტოკიო, 16 აგვისტო (საქდესი). გაზეთების ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ხიროტამ 15 აგვისტოს წინადადება მისცა იაპონიის საქმეთა რწმუნებულს ჩინეთში ხიდაკას იაპონიის საელჩოს მთელი შემადგენლობით დასტოვოს ნანკინი.

როგორც იაპონიის შანხაელი კორესპონდენტები იუწყებიან, იაპონიის ელჩი ჩინეთში კავაგოე 15 აგვისტოს ერთერთ საელჩოს შეუთანხმდა, რომ ხიდაკა და ნანკინის დანარჩენი იაპონელი პრეზიდენტები გადაყვანილი იქნებიან შანხაიში ამ საელჩოს ქვეყნის სამხედრო გემით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის საელჩოს ევაკუაცია ნანკინიდან და მასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება შემოღებულ იქნეს სამხედრო დროის სრული კონტროლი ქვეყნის ფინანსიურ ეკონომიკაზე მოასწავებს ნამდვილი ომის დაწყებას ჩინეთთან დამოუკიდებლად იმისა, ოფიციალურად იქნება იგი გამოცხადებული თუ არა

◆

იაპონელები იყენებენ გაზიან ყუმბარებს

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ხაინანჩჟოუდან (ხანჩჟოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით), იაპონიის ესკადრილიამ, რომელიც ბრუნდებოდა ხანჩჟოუზე გამართული საჰაერო ბრძოლის შემდეგ, ხაინინჩზოუზე გადმოყარა გაზიანი ყუმბარები. ქალაქში დიდძალი მსხვერპლია.

საჰაერო ბრძოლა ნანჩანზე

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტოს ნანჩანელი კორესპონდენტი იტყობინება, დღეს იაპონიის საჰაერო ესკადრა 14 თვითმფრინავის შემადგენლობით თავს დაესხა ქალაქ ნანჩანს (ძიანსის პროვინციის დედაქალაქი), მაშინვე გაიმართა საჰაერო ბრძოლა. 10 საათისათვის ჩინეთის ესკადრილიამ უკუაქცია იაპონელთა თვითმფრინავები. იაპონიის ჰიდროთვითმფრინავებმა მოასწრეს 10 ყუმბარის გადმოყრა. მოკლულია 6 მშვიდობიანი მცხოვრები.

დაწვრილებითი ცნობები ხანჩჟოუზე მომხდარი საჰაერო ბრძოლის შესახებ

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო, გადმოგვცემს რა დაწვრილებით ცნობებს ხანჩჟოუზე (ჩჟეძიანის პროვინციის დედაქალაქი) გამართული საჰაერო ბრძოლის შესახებ, იუწყება, რომ იაპონელთა მხრით მონაწილეობას ღებულობდა 22 თვითმფრინავი, რომლებიც ყუმბარებს უშენდნენ მთელ რიგ აეროდრომებს. მაგრამ, გადამწყვეტ ბრძოლის შედეგად, ჩინეთის ესკადრილიამ ჩამოაგდო იაპონელთა 10 თვითმფრინავი, ორი თვითმფრინავი დაზიანდა.

ჩინეთის ესკადრილიიდან მოკლულია ოთხი პილოტი, დაზიანდა 3 თვითმფრინავი.

იაპონელებს მოუკლეს 1500 კაცი

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). როგორც სინ სინ ნიუსის სააგენტო იუწყება, გუშინდელ ღამემდე იაპონელებს მოუკლეს 1500-დე კაცი. მოკლულთა გვამებს ზღვაში ჰყრიან.

ჩუნ ჩჟე-იუანის მიმართვა მე-29 არმიისადმი

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი ბაოდინიდან იუწყება, რომ ნანკოუს რაიონში გამართულ ბრძოლებში იაპონიის ჯარებს მოუკლეს 1 ათასზე მეტი კაცი. სენტრალ ნიუსის სააგენტომ გამოაქვეყნა გენერალ სუნ-ჩჟე-იუანის მიმართვა თავის მე-29 არმიისადმი. „ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი ვალი უკანასკნელ კაცამდე. განაცხადა სუნ ჩჟეიუანმა. — ჩვენი არმია ახლა რეორგანიზებულია. უახლოეს დღეებში ჩვენ დავიწყებთ გადამწყვეტ მოქმედებას. თუ ჩვენ მტერს არ მოვსპობთ მაშინ იგი მოგვსპობს ჩვენ“.

პასუხისმგებლობა ეკისრება იაპონიას

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). უცხოეთის სახელმწიფოთა პროტესტთან დაკავშირებით, ჩინეთის პრესა ერთსულოვნად აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა საომარი მოქმედების ყველა შედეგისათვის შანხაიში ეკისრება იაპონიას, ვინაიდან იგი გამომდინარეობს მისი აგრესიული მოქმედებიდან.

ბარბაროსები ანადგურებენ კულტურულ ღირებულებებს

შანხაი, 16 აგვისტო (საქდესი). „დავანბაო“ იუწყება, რომ შანხაის უნივერსიტეტი იანძიპუზე დაანგრია იაპონიის არტილერიამ.

თბილისი. საქ. განსახკომის მიერ მოწყობილია მსუბუქ ატლეტთა საბავშვო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი ხელმძღვანელები.
სურათზე: სკოლის გიმნასტიკური მეცადინეობა „დინამოს“ სტადიონზე.
ფოტო ბუდეშტსკისა („ს. ფ.“ საქ. განყ.)

ფაშისტური გერმანიის ჯაშუშური აპარატი

პრაღა, 14 აგვისტო (საქდესი). ანტიფაშისტურმა გაზეთმა „დეიჩე ფოლკსცაიტუნგმა“, რომელიც პრაღაში გამოდის, გამოაქვეყნა ფაშისტური გერმანიის ჯაშუშური აპარატის სქემა. მთელ ჯაშუშურ ქსელს ხელმძღვანელობს ეგრეთწოდებული შტაბი კავშირურთიერთობისა ფაშისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოსა და სხვა ფაშისტურ ორგანიზაციებს შორის. ამ შტაბში, გარდა ჰიტლერისა და მისი მოადგილე გესისა, შედიან გერმანიის პროპაგანდის მინისტრი გებელსი, ფაშისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ალფრედ როზენბერგი, გერმანიის ელჩი ინგლისში რიბენტროპი და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე აბესტი. ჯაშუშურ მუშაობას, გაზეთის სიტყვით, ეწევიან შემდეგი ორგანიზაციები:

1) სამხედრო სამინისტროს მზვერავი სამმართველო, რომელსაც პოლკოვნიკი ნიკოლაი ხელმძღვანელობს.

2) გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) საზღვარგარეთული განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის ჯაშუშური მუშაობა სხვა ქვეყნების „გერმანულ რაიონებში“ აგენტების გადაბირება გერმანული დაზვერვისათვის და ჯაშუშური მუშაობა გერმანელ ემიგრანტებს შორის საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

3) ფაშისტური პარტიის საზღვარგარეთული ჯგუფების განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი გერმანელი ჯაშუში ბოლე, თავის დროზე გადასახლებული ინგლისიდან.

4) საზღვარგარეთული ინსტიტუტი, რომელიც ეწევა ეკონომიურ ჯაშუშობას. მას თავის განკარგულებაში აქვს კარტოთეკა, სადაც შეტანილია საზღვარგარეთ მცხოვრებ 100 ათასზე მეტი გერმანელის გვარები. ამ ინსტიტუტის აგენტები არიან გერმანიის საკონსულოების თანამშრომლები საზღვარგარეთ.

5) ეგრეთწოდებული „შრომის ფრონტის“ საზღვარგარეთული ცენტრალური ბიურო, რომლის ძირითადი ფუნქციებია ჯაშუშობა სხვა ქვეყნების საწარმოებში და ჯგუფების შექმნა დივერსიული აქტებისათვის და ა. შ.

6) ყბადაღებული „ანტიკომინტერნი“ და, ბოლოს,

7) გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო.

„გერმანიის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევანი“

პრაღა, 16 აგვისტო (საქდესი) გაზეთების ცნობით, დუსელდორფის გამოფენაზე ნაჩვენებია ახალი, „უკანასკნელი მიღწევანი გერმანიის მეცნიერებისა“ სუროგატების მომზადების დარგში. სხვათა შორის, გამოფენაზე აჩვენებენ ქვანახშირისგან ნაკეთებ ერბოსა და საპონს. ამ ცნობას „პრაგერ მიტაგი“ ირონიულად დასძენს: „გერმანიის ქიმიის მიღწევანი მართლაც განსაცვიფრებელია! შეიძლება მან რძისგან ერბოს მომზადების საშუალებაც მონახოს!“

ორი გამოფენა

ხელოვნებათა მუზეუმი „მეტეხი“ ენერგიულად ემზადება დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. მუზეუმი აწყობს ქართული ფერწერის დიდ გამოფენას უძველესი ხანიდან დღევანდლამდე. მუზეუმი გამოფენს თავისი ფერადოვანი სურათების მდიდარ კოლექციებს. ეს კოლექციები შევსებული იქნება გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მხატვრების ნამუშევრებით, რომლებიც ასახავენ გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქას.

47-მდე გამოჩენილი, ოსტატი (მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, ს. ნადარეიშვილი, ს. მაისაშვილი, ვ. კროტკოვი, კ. სანაძე, ა. ციმაკურიძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და სხვ.) მუშაობს თემებზე ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურის ხაზით და სხვ. სურათების ნაწილი მიღებულია უკვე საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირისაგან.

მზადდება აგრეთვე გამოფენა ქართული კერვისა და ხელსაქმისა, დაწყებული მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე. აქ ნაჩვენები იქნება ძველისძველი მორთულობა და ოქრომკედით ნაქარგი ტანისამოსი; აგრეთვე ვერცხლისა და ოქროს ნაკერი, საფენი, ცხენის საკაზმავი (ახალი), შესრულებული მხატვრულად. ეს გამოფენა სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება.

გმირული ბრძოლის სპექტაკლი

„ადელანტე“ ბასკი ფეხბურთელების პატივსაცემად

როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი მასწავლებელი და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის „ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტ - რეაქციონერთა ჩაგვრისაგან არ არის ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეა“.

დიდი ბელადის ამ აღმაფრენებელ სიტყვებმა არაჩვეულებრივი გამოხმაურება ჰპოვა კერძოდ დრამატურგიაშიც. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენმა დრამატურგებმა შექმნეს ისეთი შესანიშნავი პიესები, როგორიცაა: გ. მდივნის „ალკაზარი“ (რუსთაველის თეატრი) და კაჭკაჭიშვილის „ადელანტე“, რომელიც 25 ივლისს დაიდგა ქართული მოზ. მაყ. თეატრში ბასკ ფეხბურთელთა პატივსაცემად.

ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი კაკანი, რესპუბლიკელთა მიერ შეტევიდან შეტევაზე გადასვლა და მეამბოხეთა ახალი ციხე-სიმაგრეების დაპყრობა ადამიანთა მცირეოდენი მსხვერპლის გაღებით — [illegible] იწყება პიესა „ადელანტეს“ (წინ) პირველი მოქმედება. ნორჩ მაყურებელთან ერთად დიდი დაძაბული ყურადღებით ისმენენ გმირული ბრძოლით აღსავსე სპექტაკლს.

რესპუბლიკელთა კომანდორი ანტონიო დორენო (მსახიობი დარისპანაშვილი) ფრონტზეა გაჭრილი და დავალებებს იძლევა შეტევაზე გადასასვლელად. ფაშისტი მეამბოხენი იოლად როდი თმობენ დაპყრობილ პოზიციებს. ისინი ასეთ ხერხს მიმართავენ: კომანდორ ანტონიოს შვილს დიეგოს (მსახიობი გ. კუპრაშვილი) რესპუბლიკელთა ბანაკში შემოპარულ ჯაშუში ფაშისტი ოფიცრის გალაორას (მსახიობი ვ. არეშიძე) საშუალებით ფაშისტები ტყვედ იგდებენ ხელში და ამწყვდევენ იქ, სადაც ფაშისტებს გამაგრებული მაღლობი უჭირავთ. ამით მათ სურთ რესპუბლიკელთა თვითმფრინავების ბომბარდირებისაგან თავის გადარჩენა. მაგრამ ამაოდ, კომანდორი ანტონიო დორენოს მეთაურობით რესპუბლიკელები ქედს არ იხრიან მტრის მოქარის წინაშე და მამაცად მოიწევიან წინ.

და შედეგად მტრის პოზიციები განადგურებულია, კომანდორი და გამარჯვებული რესპუბლიკელი მეომრები წითელი დროშით მოდიან. აქ კომანდორი ანტონიო ნახავს თავის შვილს დიეგოს, სიხარულით გადაეხვევა და კოცნის მას. გუგუნებს მებრძოლი ისპანეთის ჰიმნი. რესპუბლიკელები ისევ მედგრად მიიწევენ წინ.

ასეთია მოკლედ ახალგაზრდა დრამატურგ ალ. კაჭკაჭიშვილის პიესა, რომელიც დაკვირვებითა და ნიჭიერადაა გაკეთებული.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ალ. თაყაიშვილს ჩანს დიდი ენერგია დაუხარჯავს „ადელანტეს“ დადგმაზე. განსაკუთრებით კარგია სცენა მე-3 მოქმედების. სადაც ხდება ფაშისტების საწყობის აფეთქება და მოსალოდნელ სიკვდილისაგან ტოლოზას გადარჩენა.

ბასკ ფეხბურთელებზე სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ბასკი ფეხბურთელები სპექტაკლზე დამსწრე აურაცხელ მაყურებელთან ერთად მქუხარე ტაშისცემით და აღფრთოვანებით ესალმებოდნენ თეატრის მთელ კოლექტივს.

ვანო ბუხაიძე.

პ/მგ. რედაქტორი გრ. სოსელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა

მთავლიტის რწმუნებული 31526